გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6— |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІА“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

## ახალი ამბავი

*** ამას წინად კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს, ქალაქის მოურავი ამოსარჩევად. კრებამ დაასახელა ორი კანდიდატი—მოურავად ნამყოფი თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი და მოადგილე მოურავისა ბ-ნი პ. ა. იზმაილოვი. პირველი დასახელებულ იქმნა 35 ხმით, ხოლო მეორე 28 ხმით. ორივემ უარი განაცხადეს კენჭის ყრაზედ. საბჭომ იმავ დროს გამართა კერძო კრება, რომელმაც დაადგინა გაუგზავნოს დეპუტატი თავ. არღუთინსკის და ჰკითხოს, რა მიზეზით არა კისრულობს მოურავობას. დეპუტატად ამოარჩიეს ხმოსანი ოპოჩინინი, რომელსაც თავ. არღუთინსკიმ დაუსახელა სხვა-და-სხვა მიზეზები, რომელნიც ნებას არ აძლევენ მოურავობის მიღებისას. მეორე კერძო კრებაზედ საბჭომ ამოირჩია ხმოსანი ხუდადოვი, რომელსაც უნდა ეთხოვნა თ. არღუთინსკისათვის მიეღო ქალაქის მოურავობა. თავ. არღუთინსკიმ წერილით შეატყობინა ხმ. ხუდადოვს გადაჭრილი უარი. ხმ. ხუდადოვმა ოთხშაბათს, 27 ამ თთვისას, მოიწოდა კერძო კრება საბჭოსი, რომელსაც წაუკითხა წერილი თავ. არღუთინსკისა. საბჭომ, ასეთის პასუხის შემდეგ, გადასწყვიტა სხვა კანდიდატების დასახელება. ამავე კერძო კრებაზე დასახელებულ იქმნენ პ. ა. იზმაილოვი 38 ხმით და სხვები თითო ხმით. შემდეგ კენჭი უყარეს პ. ა. იზმაილოვს და შეხვდა 41 კენჭი. ამ სახით, საბჭომ თითქმის გარდასწყვიტა ამოარჩიოს მოურავად პ. ა. იზმაილოვი. ნამდვილ არჩევანებზედ მოწვეულ იქმნებიან ხმოსანნი ნოემბრის პირველ რიცხვებში.

*** სახელოსნო სასწავლებელზედ ქალაქის გამგეობა ჰხარჯავდა წელიწადში სამიათასს თუმანზედ მომეტებულს. წლევანდელის ხარჯთ-აღრიცხვით დანიშნული იყო 32,564 მანეთი, საგაისოდ სამოსწავლო კომიტეტმა დანიშნა ხარჯი 33,224 მან., ე. ი. 660 მანეთი მეტი წლევანდელზედ.

*** შესახებ იმისა, რომ სიონის ქუჩაზედ ახალ შენობებს აკეთებენ და ქუჩას-კი არ აგანივრებენ, სასულიერო მთავრობამ მიწერ-მოწერა გამართა ქალაქის გამგეობასთან, რომელსაც სთხოვდა უმაღლესად დამტკიცებულს გეგმას ქალაქის ქუჩებისას. ამავე დროს მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ეგზარხოსმა საქართველოისამ წერილით მიჰმართა ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს, რომელსაც სწერს, რომ სამრეკლო სიონის ეკკლესიისა სრულებით დააყრუეს სახლის პატრონებმაო, მაშინ როდესაც გეგმის ძალით სახლის პატრონები მოვალენი არიან ოთხის არშინით უკან გასწიონ თავიანთი მიჯნა და გააფართოვონ სიონის ქუჩაო. ბ-ნმა გუბერნატორმა ეს ქაღალდი გარდასცა ქალაქის გამგეობას და დაავალა, რაც შეიძლება მალე შემატყობინეთ თქვენი აზრი ამ საგანზედაო.

*** საერო დაწესებულებათ ნება მიეცათ სესხი გამოიტანონ ხოლმე სახელმწიფო ბანკიდგან და მის კანტორებიდგან ვადით ექვს თთვიდგან ერთ წლამდე; კერძო ბანკებიდგან-კი მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ სესხის მიღება, თუ რაიმე განსაკუთრებული გაჭირება დაადგათ, და ამასთანავე თუ გირაო ანუ ბეჯითი თავდები წარადგინეს, რომ სესხი თავის დროზე გარდახდილ იქმნება.

*** ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს ახალი წესი შემოიღოს საადგილ-მამულო ბანკებში დასაგირავებელ მამულების დაფასებისა.

მამულების დამფასებელ კომისიაში უნდა სპეციალისტებიც მიიწვიონ, რომელთაც შესწავლული აქვთ ნიადაგის და ტყის ვითარება და იციან, როგორ უნდა დაფასდეს ტყე.

დასაგირავებელ მამულიდგან რამდენიმე ნიადაგის ნიმუში უნდა გაიგზავნოს საადგილ-მამულო ბანკებთან დაარსებულ ლაბორატორიებში, იქ გამოიკვლევენ და რაც აღმოჩნდება, მამულის გეგმაზე დაინიშნება. ამ რიგად, ერთის მხრივ ცოტად თუ ბევრად უფრო დაახლოებით გაიგება მამულის მოსავლიანობა და მეორე მხრივ,—სანიადაგო და საგეოლოგო ატლასიც შესდგება მომავლისათვის. ამას გარდა საადგილ-მამულო ბანკებთან დაარსებულ ლაბორატორიების შემწეობით გაადვილდება ბუნებრივის სიმდიდრის შესწავლა მთელ იმპერიაში.

*** დ. ლანჩხუთი. (გურია): აქ ერთი საროგანო ამბავი მოხდა: ერთის ოჯახიდამ ახალგაზდა კაცმა, ახლო მეზობელმა მოიტაცა ახალგაზდა „ციცაი“, გასათხოვარი ქალი. პოლიცია შეუდგა გაფრენილ მიჯნურთა ძებნას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ მიაგნო მათს კვალს.

*** ცხინვალი. სოფ. ქეშელთაში (ოსეთში) რაღაც სენი გაჩნდა—ყელის ტკივილის მგზავსი და დიდს ზარალს აძლევს ხალხს. მკურნალი წავიდა ამას წინად, მაგრამ უამინდობის გამო, ვერ ავიდა მთაში. ჩვენსკენ გაჩაღებული რთველია. შარშანდლისოდენი ვერ მოვიდა წელს ღვინო, მაგრამ ტკბილი აწ უფრო კარგია: კოკა (22 თუნგი) პირველში 6—7 მანეთად იყიდებოდა, ეხლა-კი დაიწია და 5—6 მან. იყიდება. პურის მოსავალი მცირე იყო და კოდი ეხლავე 5 მანათია. საქონლის საკვები ხომ სულ მცირედ აქვს გლეხკაცობას.

*** ქარელი. მძოვრეთის ხეობაზე რაღაც ავადმყოფობა გაჩნდა ოსებში და საკმაო ზარალს აძლევს ხალხს. ექიმი და ფერშლები გაგზავნილი იქმნენ.

## ქართული თეატრი

ლანდი, დრამატ. ზღაპ. 5 მოქმედ. და 6 სურ., თარგ. ბ. ლაზარიაშვილისა.

გუშინ-წინ, ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა პირველად წარმოადგინა ბ-ნ ლაზარიაშვილის-მიერ გერმანულიდგან ნათარგმნი დრამატიული ზღაპარი „ლანდი“. პიესა მართლაც რომ ზღაპარია, რადგან თვით სიკვდილი მომქმედად არის გამოყვანილი, სცენაზედ დადის, ლაპარაკობს, ადამიანსავით პირობებსა ჰკრავს და სხ., მაგრამ ღრმა-აზროვანი და ადამიანის დამაფიქრებელი ზღაპარი-კი. ავტორს პიესით ის უნდა უთხრას მთელს აწინდელ ევროპის

## ფელეტონი

### მოდი და ნუ იტყვი!..

ამას წინად კრება იყო ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა. კრება შესდგა თანადასწრებით თოთხმეტის წევრისა, რომელთ შორის ხუთნი ვალდებულნი იყვნენ დასწრებოდნენ, როგორც წევრნი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა, და დანარჩენი ცხრა წევრნი-კი ნებით იყვნენ მოსულნი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ. ფრიად სამწუხაროა ასეთი გულ-გრილობა, დაუდევრობა და უყურადღებობა საზოგადო საქმეების მიმართ...

გული კვდება, როდესაც გადაავლებ თვალს ყველა ჩვენს საზოგადო საქმეს საქართველოს ერთობისა, ენისა და ზნეობის დასაცველად დაარსებულს. სისხლი შრება და ტანი ცივდება, როდესაც მათს ღონღილს უყურებ. განა ჩვენთა მამაპაპათ იმისთვის დაჰღვარეს იმდენი სისხლი, შეაკლეს თავები საქართველოს განადგურების მსურველთ, რომ ჩვენ, საქართველოს თავისუფლებისა და ერის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა შთამომავალთ, ჩვენისავე გაციებულის გულით და დადუნებულის ხელით ნელ-ნელა მოვუღოთ ბოლო ჩვენს თავს! მემრე გვაქვს ამის უფლება? ნუ თუ არავითარი საქმე, საქართველოს სიკეთისათვის დაწყებული, ცოტათი მაინც არ უნდა ათბობდეს ჩვენს გათოშილს გულს?!.

იქმნება ვცდებოდე და საქმე ასე არ იყოს!.. გადავავლოთ თვალი, მივიხედ მოვიხედოთ. სად, ან რა არის გაკეთებული ჩვენგან ჩვენის მამულის განსადიდებლად?..

ერთად-ერთი ჩვენის სულისა და ფიზიონომიის შემნახველი საგანი გვაქვს ენა, ქართული ენა; ამის შესანახად, დასაცვავად სკოლა, თეატრი და მწერლობაა და აბა შეჰხედეთ, რა საცოდაობით მიღოღიალობს ან ერთი, ან მეორე, ან მესამე!..

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც ფრიად ფართო და სიმპატიური პროგრამმა აქვს ხალხში ენის დასაცავად, სწავლის გასავრცელებლად; ქართული დრამატიული საზოგადოება, რომელიც ხელ-გაშლილია თავის მოქმედებაში იმავე საგნის, სხვაც რომ არა იყოს რა, მისაღწევად,—მოგაგონებსთ ბრძოლის ველზე ამხანაგებისაგან მივიწყებულს დაჭრილ მეომარს. როგორც მეომარი უნუგეშოდ გულ-დაკოდილი, თვალ-ცრემლიანი უყურებს გარშემო სივრცეში და სანუგეშოს ვერასა ჰხედავს, აგრეთვე ჩვენი ქართული საზოგადო დაწესებულებანი, ჩვენგანვე მივიწყებული, რჩება უნუგეშოდ, შემთხვევის ანაბარად.

„იესო ქრისტემ თავის კალთა ჩვენ ქვეყანას დააბერტყა—ამისათვის არის მდიდარ - ბუნებოვანიო.“ ბუნება-კი მდიდარია ჩვენს ქვეყანაში, მართალია, მაგრამ ნუ თუ ამ მდიდარ ბუნებოვან კუთხეს ასეთი გულ-ცივი, ღარიბ-გონებიანი ხალხი უნდა ვყვანდეთ!?..

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“...—სთქვა განსვენებულმა გრ. ორბელიანმა. მას შემდეგ განა ცოტა დროს გაუვლია? აბა, გასინჯეთ, ნაბიჯი გადაგვიდგამს წინ კაცობრიულ ცხოვრების მისაღწევად? თუ გადაგვიდგავს, ძალიან და ძალიან მცირე.

ადამიანი, რომელსაც ლუკმა პურის მოსაპოებლად კაცის კვლა ჩაუდენია, გაუძარცვავს ადამიანი, ჩვენზედ ნაკლები დამნაშავეა. ის ეძებს იმას, რაც არა აქვს; ჩვენ-კი ვკარგამთ იმას, რაცა გვაქვს, რაც შეადგენს ჩვენს დიდებას, ძლიერებას—ვკარგამთ და ღიმილით ვუყურებთ ერთმანერთს. განა ჩვენ ცხოვრებაში ცოტა იყო იმისთანა შემთხვევანი, რომ კვესად გამომდგარიყო, დაჰკვესებოდა ჩვენს გულს და სიცოცხლის გამაღვიძებელი ნაპერწკალი დაებადნა ჩვენში? განა სკოლების საქმე, საქალაქო არჩევანები, სამეგრელოს სკოლების მდგომარეობა და მრავალი სხვა ყველა კვესი არ იყო, რომ ჩვენს კაჟ-გულს დაჰკვესებოდა და აენთო ცეცხლი?... სამშობლოს მოყვარულ ერისათვის საკმარისი იყო ეს გარემოებანი, რომ ნაპერწკლის მაგივრად ნაღვერდალი დაბადებულიყო და მსწრაფლ გაღვივებულიყო მამულის შვილთა გრძნობა, მაგრამ ჩვენზე თითქმის არავითარი მოქმედება არ იქონია; ჩვენ მაგიერ ეზოში გდებული ქვაც-კი ატირდებოდა, ჩვენი გული-კი ისე დაფუტუროებულა, რომ ვერასა ჰგრძნობს. სად, ან რაში ვეძიოთ ის ძალა, რომ ჩვენს გულში დაიბადოს ნაპერწკალი და გაღვივდეს ცეცხლი, გათბეს სისხლი, დაიწყოს გაყინულმა მაჯამ ცემა?!..

„...აიღებს ბეჩავი ქართველი მწერალი ხელში კალამს თუ არა, მაშინვე გულ-ამოსკვნით შედგება ხოლმე და თავის თავსა ჰკითხავს: ვის უნდა ველაპარაკოო,—და სისხლი ძარღვში გაუშრება ხოლმე. მართლა და ვის უნდა ელაპარაკოს? მეტყვიან: ყველასაო. დიაღ, კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, საყოველთაო რა გვაქვს, რომ მწერალმან ფრთა გაშალოს და იმაზედ განაღვლოს საყოველთაო ნაღვლითა, ანუ გალხინოს საყოველთაო ლხინითა? ქართველობა ხომ არა გგონია საყოველთაო სალხინებელი და სანაღვლებელი? დიაღაც ეგ უნდა იყოს, მაგრამ სად არის ქართველი და ქართველობა“?..

„...თუ შენ ჩემო მკითხველო, ადამიანობა, კაცური კაცობა ხელში მჩვრად, არ გადაგიქცევია ვიცი, რომ ამ კითხვაზედ ძარღვი ჩაგწყდება; ისიც ვიცი, რა ტკივილიც ამოგაკვნესებს... მაგრამ ესეც უნდა იცოდე, რომ ბალღამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა... პატარა დალაგებით რომ დაფიქრდე, იმ ხავს მოკიდებულ გუბეს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასხაროდ ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ რაღაც დაუდეგარის კმაყოფილებით ვჭყუპალაობთ და რომლიდამაც ათასი სხვა-და-სხვა ფერი ნაკადული იწრიტება, ცალკ-ცალკე და სხვა-და-სხვა გზით მოდის და „რაოდენათაც ერთმანერთზე შორს სავალს, ეგოდენ დაუძლურდების“,—ამ გუბეს რომ თვალდია და აუჩქარებლივ

წარმატების ნახვით გატაცებულს, სარწმუნოების მხრივ ცოტა არ იყოს შერყეულს გონებას ადამიანისას, რომ მართალია, მეცნიერება ძლიერია, იმდენად ძლიერი, რომ სიკვდილიც-კი ემუდარება, ნუ მიძნელებ საქმეს, სადაც მე დამინახო ავადმყოფის სარეცელთან, იქ ნუ მიეკარებიო, მაგრამ ბოლოს ისე უძნელებს საქმეს თვით შესანიშნავს ექიმს ჰარი გერნერს, რომელიც პიესაში მთელის სამკურნალო მეცნიერების აღმნიშვნელია, რომ ეს ურწმუნო კაციც-კი ღმერთს შესთხოვს შველასა და დახმარებას, შეჰვედრებს მოწყალებას და ზენაარიც ისმენს მხურვალე ვედრებას ურწმუნოსას და თავისს მოწყალებას ანიჭებს სიკვდილის გაბრუნებით. პიესაში ეს აზრი საუცხოოდ არის გატარებული და მთელი ნასკვ-რთული ხუთ-მოქმედებიანი არაკი თავით ბოლომდე თითქმის იმასა ჰლაღადებს, რომ მეცნიერება ძლიერია, მაგრამ ზენაარი უფრო ძლიერიაო.

რასაკვირველია, ამისთანა ნაწარმოებს მომქმედთა მტკიცე დახასიათება და აღნიშვნა არ მოეთხოვება და არც საჭიროა. საკმარისია ისიც, რომ არაკს სიამოვნებით ისმენს მაყურებელი, იმის გულს იტაცებს და გონებას ამოძრავებს, დასაფიქრებელს მასალას აძლევს. ამას გარდა, პიესა სცენის მხრივ ისე კარგად არის დაწერილი, რომ სათეატრო გამგეობას შეძლება ეძლევა კარგად მოჰმართოს და მოაწყოს იგი და მარტო გარეგნობითაც-კი საშუალება მისცეს დიდის გავლენისა და ზედმოქმედების მოხდენისა. საკმარისია, ვამბობთ, რომ პიესა დაატყვევებს მაყურებელის თვალსა, ყურსა და გონებას.

ქართულს სცენაზედ ეს პიესა როგორღაც შეკუმშული, უფერული გამოვიდა და, შესაძლებელთან შედარებით, მეათედი გავლენაც-კი ვერ იქონია. არტისტები თუმცა ცდასა და მხნეობას არ აკლებდნენ, მაგრამ ვერც გარეგანი მოწყობილობა იყო პიესისა ვარგისი და ვერც ტან-ჩაცმულობა მომქმედთა. მაგალითებრ, შეძლებულ გრაფის შტელენბერგის შვილი. ფრანცი (შათირიშვილი) უფრო მუშა-კაცსა ჰგავდა, ვიდრე გრაფის შვილს და მარგარიტაც ფრიად ღარიბად იყო ჩაცმული. ლანდი (ქ-ნი ავალიშვილისა) არ ვიცით რა მიზეზით, სიკვდილსა თამაშობდა და ყოველ მოქმედებაში-კი მოდასავით ტანსაცმელს იცვლიდა. ლანდი სულ ერთ გვარად უნდა იყოს ჩაცმული, სახე დაბურული ჰქონდეს და ლაპარაკით უსიცოცხლოდ, უგრძნობლოდ ლაპარაკობდეს. ხმა იმის გულიდგან ერთ გვარად და ერთ ფერად, გრძნობის შეუხამებლად უნდა ამოდიოდეს და ამითი აღნიშნავდეს, რომ სიკვდილი განყენებული აზრია, უსულო, გრძნობიერებას მოკლებული, მხოლოდ ავტორის ოცნების-მიერ ხორცშესხმული. ქ-ნ ავალიშვილის ლაპარაკსა და ხმის კილოს-კი გრძნობა ერთვოდა, გრძნობა, ხორციელ ადამიანის გულის-მიერ ზედ დაჩნეული.

თამაშობის მხრივ არტისტებს არა უჭირდათ-რა. ბ-მა ყიფიანმა ჩვეულებრივის ხელოვნებით დაგვიხატა მოხუცებული გრაფი შტელენბერგი ცხოვრების სხვა-და-სხვა ვითარებაში. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ აზრიანი თამაშობა ბ-ნის გუნიასი, რომელმაც იმდენად მარჯვედ წარმოადგინა ბოროტის ბარონის ეშენბახის როლი, რომ საზოგადოების ტაშის-კვრაც-კი დაიმსახურა. ეს მით უფრო ძნელი იყო, რომ ბარონი არაკში სიბოროტის წარმომადგენელია, საძაგელი კაცია, გულ-ქვა, რომელიც მხოლოდ შემთხვევითა ჰსარგებლობს და რომელსაც, თავის გარდა, არაფერი აღარა მიაჩნია-რა ამ ქვეყნად. ამისთანა როლში დიდად ძნელია არტისტმა საზოგადოების ყურადღება დაიმსახუროს და მისი სიამოვნება შეიძლოს.

საზოგადოება... საზოგადოების შესახებ რა უნდა ვსთქვათ ამის მეტი, რომ ქართველი საზოგადოება ამ ხელადაც ქართულს თეატრს მოშორებული იყო და თავისის არ-ყოფნით კვლავ გამოიჩინა თავისი გულ-გრილობა ქართულის სცენისა და დრამატიულ ხელოვნების მიმართ.

გარდახვეწილი

## წერილი რედაქციის მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ!

თქვენს გაზეთში მე-215 ნომერში წავიკითხეთ კორესპონდენცია სამტრედიიდგან იმის შესახებ, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგმა, ბ-ნმა ბაიკოვმა, უსიამოვნობა მოგვაყენა. რადგანაც ამ კორესპონდენციაში ზოგიერთი გარემოება შეცდომით არის მოხსენებული, ამიტომ გთხოვთ, სიმართლის აღსადგენად დაბეჭდოთ ეს ჩვენი წერილი. აი დაწვრილებით, როგორ იყო ის ამბავი: 5 ამ თვეს ჩვენ ზუგდიდს მოვდიოდით. სადგურზედ ჩვენცა და ჩვენი ვაჟი-შვილებიც დავსხედით მეორე კლასში და როდესაც მატარებელი დაიძრა, მაშინათვე იმ კლასსში მყოფმა მამა-კაცმა, რომელსაც ჩვენ ვერ ვიცნობდით, უთხრა ჩვენს შვილებს: ახლავე აქედგან გადით, რადგანაც ეს ვაგონი ქალების ვაგონია და თქვენ აქ ყოფნის ნება არ გაქვთო. ისინი მაშინადვე გავიდნენ. თითონ-კი იქვე დარჩა. უცნობმა მამაკაცმა მაშინათვე ყველა ფანჯრები დაკეტა და ჩვენც თავის მოსამსახურის პირით შემოგვითვალა, რომ თქვენი ფანჯარაც დაკეტეთო. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ფანჯრის დაკეტვა არ შეგვიძლიან, რადგანაც ვაგონში ჰაერი მეტად დახშულია, ამასთანავე ჩვენ მოშორებით ვსხედვართ და ამ ფანჯრიდგან თქვენკენ სიო არ მოდიოდა. მაშინ თითონ ის ბატონი მოვიდა ჩვენთან და ხმა მაღლა გვითხრა: ახლავე ფანჯარა დაჰკეტეთ, თორემ ძალით დაგაკეტინებთო. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ჩვენის ნებით არ დავკეტავთ და, თუ კანონია, რომ ერთის სურვილით ყველა ფანჯრები დაიკეტოს ვაგონში მაშინ, როდესაც სხვები ამის წინააღმდეგნი არიან, თქვენი ნებაა. იმან ობერ-კონდუქტორს დაუძახა, უსათუოდ ფანჯარა დაჰკეტეო. ობერ-კონდუქტორმა გვითხრა, რომ უნდა დავკეტოთ, რადგანაც ერთიც რომ თხოულობდეს, იმ შემთხვევაშიაც უნდა დაიკეტოს ფანჯარაო და, გარდა ამისა, ამას პირველი კლასის ბილეთი აქვსო. ჩვენ ვუთხარით, რომ თუ პირველი კლასის ბილეთი აქვს, მიბრძანდეს პირველ კლასსში, ჩვენ-კი თავი დაგვანებოს-თქო. კონდუქტორი, როგორც წესის დამცველი, ვალდებული იყო, არ აღესრულებინა იმისი უსაფუძვლო თხოვნა და ის გაეყვანა ქალების ვაგონიდგან, მაგრამ ამის მაგიერ ჩვენ შეგვავიწროვა ფანჯრის დაკეტვით. ჩვენ ვკითხეთ ობერ-კონდუქტორს გვარი, მაგრამ არ გვითხრა... დავიწყეთ ახლა ერთმანერთში ლაპარაკი: ვინ უნდა იყოს ეს კაცი რომ ასე გვეპყრობაო: ჩვენთან ვინც იყვნენ, გააგდო აქედამ, თითონ-კი დარჩა, ფანჯრები დაგვიკეტა და სული შეგვიხუთა. ამ დროს ის კაცი მოვარდა ჩვენთან, დაგვიწყო თითის ქნევა და ყვირილი: „გაჩუმდით, ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ მე იმისთანა უფლება მაქვს, რომ ვუბრძანო, რკინის გზიდგან გადაგსვამენ და გზაზე დაგტოვებენ“. ეს სიტყვები და თითის ქნევა რამდენჯერმე განიმეორა. ჩვენ ვუთხარით, ძალიან ცუდს იზამ, თუ მაგ მუქარას არ აღასრულებ-თქო და ვკითხეთ ვინაობა. ამ ლაპარაკზე ერთმა ჩვენმა შვილმა შემოიხედა ჩვენს ვაგონში ჩვენის ამბის შესატყობად, მაგრამ იმ კაცმა უეცრივ დაუყვირა: აქედგან ვაგვეცალეო. სამტრედიაში რომ მივედით, სადგურის უფროსს გამოვუცხადეთ ყოველივე გარემოება და ვსთხოვეთ ოქმის შედგენა, მაგრამ იმან გვიპასუხა, რომ ჟანდარმის უნდერ-ოფიცერს განუცხადეთო და ის შეადგენს ოქმსაო. მაშინ შევიტყეთ მხოლოდ უფროსისგან ვინ იყო ის მამაკაცი. ჟანდარმის უნდერ-ოფიცერს ვუთხარი და მან ჩვენი სახელები და გვარები დაიწერა და შეგვპირდა, ოქმს შევადგენო, მაგრამ ზუგდიდიდგან რომ დავბრუნდით, სამტრედიაში გვითხრეს, ჟანდარმს ოქმი არ შეუდგენიაო.

ასე იყო ის შემთხვევა. ბ-ნს ბაიკოვს ჩვენთვის ალაგის დათმობა არ უთხოვნია, რადგანაც ჩვენს ვაგონში ბევრი თავისუფალი ადგილი იყო. სამტრედიაში ჩვენ იმასთან ცხარე ლაპარაკი, როგორც კორესპონდენციაში სწერია, არ მოგვსვლია. ბაიკოვი სამტრედიაში დარჩა, სადგურის უფროსსა და ჟანდარმის უნდერ-ოფიცერს, მაშინათვე რომ გამოეკითხათ ეს ამბავი ბაიკოვისთვის და იმათთვის, ვინც ვაგონში იყვნენ, იქვე ადვილად და დაწვრილებით ახსნიდნენ სიმართლეს, თუ როგორც მოხდა ყოველივე.

ახლა თქვენ თვითონ გასაჯეთ, რა ზდილობიანიცა ყოფილა ბ-ნი ბაიკოვი, ეს კანონის დარაჯი და დამცველი.

ვთხოვთ რედაქტორებს იმ გაზეთებისას, რომელშიაც ზემოხსენებული ამბავი იყო დაბეჭდილი, ეს ჩვენი წერილიც გადაბეჭდონ.

კნეინა ეფემია ნიჟარაძისა. სოფიო გამრეკელისა

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გერმანიის ჟურნალ-გაზეთობა სცდილობს პირ-ბადე აჰხადოს პრუსიის ფინანსთა ეხლანდელ მინისტრს მიკელს.

სოციალ-დემოკრატთა კონგრესზედ კელნში ბებელმა წაიკითხა ძველი წერილი მიკელისა, კარლ მარქსთან მიწერილი 1850 წელს, როდესაც ამ წერილის ავტორი ერთგული თაყვანისმცემელი ყოფილა მარქსისა და მოუსვენრებია მისი გაცნობა. მიკელი სწერს:

სისულელეთ ჩამეთვლებოდა, რომ მეთხოვნა თქვენთვის ეხლავე ყველაფერში მენდეთ-მეთქი. მაინცდამაინც, რათა იცოდეთ რამე ჩემის წარსულისა, მე გაუწყებთ, რომ ბლინდთან ერთად ვსწავლობდი გ—ში, ვეკუთვნოდი რევოლიუციამდე, იქაურ რადიკალთა დასს, ვიბრძოდი როგორც რადიკალი რევოლიუციის სახელით და ამის გამო დასის მიერ გაგზავნილ ვიქმენ ჰანოვერში, რომ იქ გამომეწვია და მომეწყო გლეხთა ამბოხება. შემდეგ ვსცდილობდი ჰეტინგენში საბიუროკრატო დასის დამარცხებას და ბოლოს ვსცადე მუშა-

დააკვირდე, მაშინ შენც ჩემთან ამოიკვნესებ და იტყვი: „ვართ-ლაო!“.

„აჩქარებული კაცი, ის კაცი, რომელსაც უნდა შავი ფიქრები თავიდამ მალე მოიშოროს, ადვილად გვიპასუხებს ჩვენ და გვეტყვის: ბრმანი ყოფილხართო. ეს ჩვენი დედა ქალაქი და ეს შავი-ზღვიდამ კასპიის ზღვამდე გუნდ-გუნდად მორიგებული მისი შვილი—სოფლები ქართველები არ არიანო, მაშ ვინ არიანო? ქალაქი იქმნება დედა იყოს, სოფლებიც იქმნება მისი შვილები იყვნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დედის ძუძუ დიდი ხანია გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარა სწოვს...

თვითო-თვითოდ ერთის გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით რომ ცალ-ცალკე და თავ-თავად დავგორავთ ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ნუ თუ ეგ თვითეული ქართველი ჰგონია ვისმე!

„თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, სადა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის მეთქი. ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკუა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ, იქ არის მეთქი. საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის. ქართველი საყოველთაო სახელია და კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაქვს?... ის შემკრებელობითი, დიდებული, ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა,—დიდი ხანია დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა და ქართველი ახლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელიღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ოდესმე ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში თუ ლხინში ერთად, ძმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია და რომელსაც დღესაც ერთისა და იგივე ენით—თუ არაფერს აკეთებს—თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაც და კაცთანაც. „...განვთვითვეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასო დავჭერით და მაგ განთვითვეულებამ, ცალკ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველს ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წკეპლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტვრევს“...

„მამული!.. ამ სიტყვის ყოვლად მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, სადა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულება—ეგ ჭირთა ჭირი—არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვისა. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა მთელის ხალხისა და მთელს ხალხს თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღვლითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია და ყოველში ყველა არის?

ჩვენში? ჩვენშიაც მაგ სიტყვას მაგეთი მნიშვნელობა ჰქონია თურმე. იცი როდის? როცა ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყდარში ერთად ბმულა“.

„...ეხლა ეს დიდებული სიტყვა თვითეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავ ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს ბინასა, რომელიც, ქვისა და კირის მაგიერ, ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია! სადღაა მამული? ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურებაც ზედ მოსდევს. განვკერძოვდით, და რამოდენათაც თვითეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძლურია და პატარა, იმოდენად თვითეულს ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძლურდა, დაპატარავდა. ჩვენს დაფუყებულს და შევიწროვებულს გონებას სადღა შეეძლო ექონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებულის სიტყვისა“?..

„... ზღვა კოვზით არ დაილევაო, ნათქვამია. აი თუ არ დაილევა. სად არის მამულის ყოვლად-მპყრობელი, ვრცელი, ფრთა-გასაშლელი მნიშვნელობა? განვთვითვეულდით და თვითვეულის ზურგმა ველარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდია. თვითვითვეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ველარ იტვირთა... წარმოიდგინეთ მკითხველნო, რომ ეს სიტყვები დაწერილია თვრამეტის წლის წინად თავ. ილია ჭავჭავაძის მიერ. თვრამეტი წელიწადი, ბატონებო, დიდი დროა ცხოვრებაში დასაწინაურებლად. ამ ხნის განმავლობაში ბევრი, ძალიან ბევრი საქმის გაკეთება შეიძლებოდა ჩვენის ერის დასამშვენებლად, ენისა და ერის სადღეგრძელოდ. მაგრამ... მაგარი ის არის, რომ უკუღმა დატრიალდა ჩალხი და ამის შეჩერებას და წაღმა გადატრიალებას დიდი ძალა უნდა...

«... დღეს ჩვენ მართლა რომ ახირებულ მდგომარეობაში ვართ და გაჭირვებულ დროებას მოვესწარით. რაც უწინ ჩვენის წინაპრების სარწმუნოებას და ზნეობით მცნებას შეადგენდა ძმობა, ერთობა, ერთმანეთის დახმარება, ერთი საზოგადო სული, ერთი საქვეყნო გული,—ეს ყველაფერი უარნაყოფი და დავიწყებული არის. ჩვენ როდილა გვწამს, რაც ჩვენ ძველებს სჯულის საფუძვლად მიაჩნდათ, როდილა გვეშინია მისი, რაც იმათ ცუდ ვნებებს ჰლაგმავდა, როდილა გვენატრება ის სასყიდელი, რომლითაც მათი სარწმუნოება მათ სიკეთეს და გულის მოქმედებას ჰდეზავდა“... ამას ამბობდა პატივცემული ბ-ნი ნ. ნიკოლაძე 1877 წ. განა ახლაც ესვე არ ითქმის, მკითხველო?!.

ა. ჯ.

ხალხის შეერთებულ პარტიის დაარსება... ჩემი წარსული, როგორც ჰხედავთ, სანუგეშოს არას წარმოადგენს (სიცილია კრებაზედ). მე მხოლოდ შემიძლიან დაგარწმუნოთ, რომ თქვენი აზრი ჩემი აზრიც არის (სმენა, სმენა!). როგორც ათეისტი და კომუნისტი, მეც თქვენსავით მოწადინებული ვარ, მუშა ხალხი გავხადო დიქტატორად (ჩოჩქოლია, სმენა!). იარაღის არჩევა იმაზედაა დამოკიდებული, თუ როგორ უფრო შესაძლოა ჩვენის აზრის განხორციელება (დიდი ჩოჩქოლია), მხოლოდ ერთში არ გეთანხმებით: მე მტკიცედა მჯერა, რომ რევოლიუცია წვრილმან ბურჟუას მისცემს ხელთ ქვეყნის გამგებლობას, მუშა-ხალხი მაღალ ბურჟუაზიას და ფეოდალობას დასცემს, ხოლო თვითონ იძულებულ იქმნება ადგილი დაუთმოს დემოკრატებს. დროებით იქმნება მოვახერხოთ, რომ ავმართოთ რევოლიუცია ბურჟუაზიის წინააღმდეგ და დავამარცხოთ კიდეც, ხოლო წვრილმან ბურჟუაზიის ამოფხვრა შეუძლებელია. გაკეთდეს, რაც-კი მოსახერხებელია—აი ჩემი დევიზი და ამ აზრით მე ყოველთვის თქვენი ვარ. წოდებათა უფლებისა არა გაეგება-რა გერმანელ მუშას. ჩვენ უნდა შთაუნერგოთ სიძულვილი, აღვუძრათ წყურვილი სამაგიეროს გარდახდისა გლეხს მევახშეს წინააღმდეგ და მოჯამაგირეს წინააღმდეგ ბატონისა. ჩვენ უნდა ვეცადნეთ სწრაფად და გაბედულად ავაჯანყოთ ხალხი, მოვიგრიოთ მალა და რევოლიუციით დავამხოთ ხალხის მტარვალ-მგლეჯელნი. ხოლო ეს როგორ უნდა მოვახერხოთ, თუ ყოველივე წინად მოაზრებული არ გვექმნება, ხელმძღვანელი და მეთაური არ გვეყოლება? ამაზედ ვფიქრობდი მთელი ერთი წელიწადი და გარდავსწყვიტე, რომ მხოლოდ ჩემი და ჩემის მეგობრების იმედი უნდა მქონდეს; დავაარსე კავშირი, რომელსაც დედა აზრად კომუნიზმი აქვს და საშუალებად: „კარგის სურვილის შესასრულებლად ყოველი იარაღი საკადრისია“ და უპირველეს კანონად—მორჩილება. პირველი მომხრეები ლონდონში ვპოვე და იმათ მირჩიეს თქვენთან მოსვლა. თუ თქვენ შესაძლოდ არ მიგაჩნიათ, მამცნეთ მე ყოველივე და ხელ-ქვეითად მაინც მიყოლიეთ..

**

გაზეთ Рус. Жизнь-ს გადაუბეჭდია შემდეგი ადგილი Нов. Обозр.-დგან, ქიათურის რკინის გზის შტოზედ მომუშავე ხალხის ცუდის მდგომარეობის შესახებ:

იჯარადარნი მალიან აჯანჯლებენ მუშა-ხალხს ჯამაგირის მიცემაში. მუშათა მდგომარეობა სამწუხაროა: მშიერნი არიან და მათხოვრებათ გადაქცეულან და დადიან, ფეხ-შიშველნი დაბრანძულნი, ხშირად მხოლოდ საცვლის ამარა და თითქმის მუხლ-მოდრეკით ევედრებიან იჯარადარებს და მეთვალყურეებს, ფეხ-საცმელის ფასი მაინც მოგვეცითო. ზოგნი თანხმდებიან ნამუშავარის ნახევარ ფასი მაინც აიღონ და მოშორდნენ იქაურობას. მაგრამ უბედურნი ხშირად იმასაც ვერ იღებენ და შინ ხელ-ცარიელნი მიდიან.

ნუ თუ ადმინისტრაცია ამას ყურადღებას არ აქცევსო?—გაკვირვებით ამბობს Рус. Жизнь-ი.

## რუსეთი

სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო შეუდგა მთელის იმპერიის ტყეების რუკას შედგენას. ამ საქმისთვის მოწოდებულნი არიან დასახმარებლად ყველა საგუბერნიო ტყის მცველნი კომიტეტები. ეს რუკა, რომლის შესადგენად შრომობს რამდენიმე ათასი კაცი, მზად უნდა იყოს 1895 წლის 1 იანვრამდე.

ჟურნალ «Рус. Богатст.» უკანასკნელ წიგნში პროვინციიდგან დაბრუნებული თანამშრომელი ამ ჟურნალისა, სხვათა შორის სწერს, რომ სატახტო ქალაქების ჟურნალ-გაზეთები ძლიერ თვალს არიდებენ პროვინციას და მის ინტერესებსაო. „მთელი ექვსი დღე გზაში ვიყავიო,—სწერს ეს თანამშრომელი,—ათასი კაცი შემხვედრია სხვა-და-სხვა წოდებისა და ხელობისა და არც ერთისაგან არა გამიგონია-რა არც ფრანგ-რუსეთ კავშირზე, არც ტულონის დღესასწაულზედ,—არაფერ იმაზედ, რასაც ეხლა დიდს ყურადღებას აქცევენ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები. აშკარაა პროვინცია სრულიად დაშორებულია სატახტო ქალაქების ცხოვრებას, თავისი ინტერესები აქვს, თავისი სურვილი, თავისი გაჭირვება და ყოველ ამის შესახებ ჟურნალ-გაზეთები ათასში ერთხელ თუ იტყვიან რასმეს, ისიც ორიოდ-სამიოდ სიტყვას. ამ გვარად ჩვენი ჟურნალ-გაზეთები დღითი დღე შორდებიან ხალხის ცხოვრებასა და გაჭირვებას, რომელსაც სრულიად არავითარი საქმე არა აქვს ფრანგ-რუსეთ კავშირსა და სხვა ამ გვარ ამბებთან.

—

ამ ჟამად რუსეთში სულ 1,164 გენერალია; მათ შორის: გენერალთა შტაბის აკადემიაში სწავლა დამთავრებული 300, სამხედრო-საიურიდიო აკადემიაში—40, საინჟენეროში—77, საარტილერიოში—104, დანარჩენთ სწავლა სამხედრო სასწავლებელში მიუღიათ. ომში ყოფილა 916 გენერალი, დაჭრილი—81, და სუმბუქად დაჭრილი—42.

### „საიდუმლო ქრისტიანები“

გაზეთი „Кiев. Сл.“ სიტყვით ქალაქ ვოლოკოლამსკის ახლო გაჩენილან ახალი მწვალებელნი, რომელნიც თავიანთ თავს საიდუმლო ქრისტიანებს უწოდებენ. ამ მწვალებელთა მეთაურად ყოფილა მდიდარი მექარხნე ევტიხი ივანოვი და მის მახლობელ თანაშემწედ—დარია საველის ასული, ქალი დიდად სასტიკი მაგრამ საკმაოდ ლამაზი და ეშხიანი. დარია საველის ასული მუდამ სოფელში სცხოვრობს, მას აბარია ამ სოფლის მწვალებელთა ოჯახების გამგეობა და იგივეა უფროსი და მეთაური სამლოცველო კრებათა. მწვალებელნი თავიანთ თავს საიდუმლო ქრისტიანებს უწოდებენ და ამიტომ სცდილობენ თავიანთ სარწმუნოების დაფარვას. ყოველ წელიწადს თავის მღვდელს აღსარებას ეუბნებიან, ეზიარებიან, ჰნათლავენ ყმაწვილებს და ასაფლავებენ მიცვალებულს ქრისტიანულ წესით, მღვდელი მიჰყავთ თავიანთ სახლებში და თითონაც დადიან ეკკლესიაში, მაგრამ ყველა ამას მხოლოდ თვალის ასახვევად სჩადიან. სოფელში ღამღამობით იკრიბებიან ხოლმე სალოცავად, გალობენ ფსალმუნებს, კითხულობენ სამღთო წერილს და თავისებურად ჰმარტავენ. ეს მწვალებელნი 12 საათამდე არასა სჭამენ. ხორცს არ ეკარებიან და მხოლოდ სამარხვო საჭმელით იკვებებიან. უქმე დღეს, როცა სტუმრები ჰყავთ, სადილზედ არც არაყი მოაქვთ, არც ღვინო. არაყი და ღვინო ცალკე ოთახში აქვთ ხოლმე. სტუმრები იქ გადიან და შეექცევიან, მათ მეთაურის ახალ მაჰმადის ევტიხი ივანოვის მიერ აკრძალულ სასმელებსა. ამ ევტიხი ივანოვს მწვალებელნი დიდ პატივს სცემენ, განსაკუთრებით ქალები, რომლებიც თავიანთ მეთაურს თან ახლავან ხოლმე მოგზაურობის დროს. პატივცემული მოხუცი ევტიხი ივანოვი მშვენიერ ეტლში ზის ხოლმე და გვერდით უსხედან შავ კაბებში გამოწყობილი ქალები. გზაში ვინც შეხვდებათ, ძლიერ თავაზიანად აძლევენ სალამს.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** პარლამენტის პირველ კრებებზედვე რადიკალთა დეპუტატს ბ-ნ ლოკრუას განზრახვა აქვს აღძრას ლაპარაკი ეკკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევებასა და ამნისტიაზედ. ამ საქმეების შესახებ სამინისტროში თანხმობა არ არის და ამიტომ შესაძლებელია, რომ ამ საქმეთა განხილვას სამინისტროს კრიზისი მოჰყვეს.

ადვილად შესაძლებელია, რომ პირველ კრებებზედვე აღიძრას ლაპარაკი სამინისტროს გადაყენების შესახებ.

—

მთავრობის განკარგულებით სტატს-სეკრეტარის გირსის დეპეშა, ბარონ მორენჰეიმის სახელობაზედ გაგზავნილი, გაკრული იქმნა კედლებზედ მთელს საფრანგეთში. გაზეთებს ძლიერ მოსწონთ ეს განკარგულება მთავრობისა. „Figaro“ სწერს:

მთავრობა ჩინებულად მოიქცა, რადგანაც არა შეედრება-რა იმ მადლობის გამოცხადებას, რომელიც მიმართულია „ყველა წოდების წარმომადგენელთადმი“. მეფემ ნათლად დაამტკიცა, რომ მას შეგნებული აქვს ნამდვილი მნიშვნელობა და ხასიათი რუსეთის ფლოტის აფიცერთათვის გამართულ დღესასწაულებისა, როდესაც სთქვა: „საჭიროა ერთობა საზოგადოების ყველა წოდებისაო“. და რა თქმა უნდა არა ნაკლები მნიშვნელობა ექმნება რუსეთის იმპერატორის მიერ წარმოთქმულ ამ სიტყვებს, პირდაპირ საფრანგეთის ერისადმი მიმართულსა. ამიტომ არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ამ ფრიად მნიშვნელოვან ამბავს, ბ-ნ გირსის მიერ გადმოცემულს. ეს ამბავი, ჩვენის აზრით, ისეთია, რომლის მგზავრი მთელ ისტორიაში ჯერ არ მომხდარა.

### ჭ ა დ რ ა კ ი

ტარაშმა ძალიან აჯობა ჩიგორინს ჭადრაკის თამაშობაში. ტარაშმა მოიგო 7 პარტია, ჩიგორინმა მხოლოდ 4, სამი პარტიაც გაყაიმდა. უკანასკნელ პარტიის თამაშობის დროს მეტად ბრთხილობდნენ ორივენი, ისე რომ ერთს პარტიას 9 საათი მოანდომეს და ტარაშმა მოუგო.

### უცხოეთის წვრილი ამბავი

რუსეთის ესკადრის მატროსებს, ტულონში ყოფნის დროს, ძლიერ ადვილად შეუსწავლიათ რამდენიმე ფრანგული სიტყვები: ვენ, პენ, პირ და სხვა. უსწავლიათ მწყობრად ტაშის ცემა, იციან: პლასე არმია (place d' Armes), «პლასეროშა» (place Roche) და სხვ. უყვირიან: „ვივ-არმია“ და «გაუმარჯოს რესპუბლიკასა». მაგიერ ჰყვირიან: „გაუმარჯოს პუბლიკასაო“!.

თავის მხრივ საფრანგეთის ახლად გამომცხვარი ფილოლოგები სცდილობენ ზოგიერთ ინგლისურ სიტყვების მაგიერ შემოიღონ რუსული სიტყვები, მაგალითად, სიტყვა „ბრეკ“-ის მაგიერად «ტელეგა» კიხმარეთო, „პალტოს“ მაგიერ „ტულუპიო“. „კოტეჯის“ მაგიერ „იზბა“, „მილორდის“ მაგიერ „ბაიარინ“ „ბილლის“ მაგიერ „უკაზ, „გრუმის“ მაგიერ „მუჟიკ“ და სხვა.

## გასართობი

ერთმა კაცმა თავის მეგობარს ფული ასესხა. მას შემდეგ ეს მეგობარი აღარ შეხვედრია, რადგანაც ის მუდამ თავს არიდებდა. ერთხელ როგორღაც შეხვდა და უთხრა: „ძმაო, ან ჩემი ფული დამიბრუნე, ან ჩემი მეგობარიო“.

—

ერთმა მდიდარმა კაცმა დაიკვეხა: ისეთი ქალი არ შემხვედრია, რომ იმისი გული არ შემეპყრობოს. აქ საკვირველი არაფერიაო, მიუგო ვიღაცამ,—ნათქვამია, ქვეყანაზედ ისეთი ციხე არ მოიპოვება, რომლის დაპყრობაც შეუძლებელი იყოს, თუ კი იმ ციხეში ოქროთი დატვირთული ვირი შეიყვანესო.

—

ერთს კაცსა ჰკითხეს, მარტოობა რად გიყვარსო. მან უპასუხა: „მე ჩემს ნაკლულევანებას უფრო შეჩვეული ვარ, ვიდრე სხვისასაო“.

### გამოსადეგი ცნობა

ზღვის მარილი, როგორც პირის გამოსავლები წამალი. კბილების სიმრთელისა და ღრძილების სიმრთელისათვის, აგრედვე პირში დილით რომ ცუდს გემოს არა ჰგრძნობდეთ და უსიამოვნო სუნიც მოისპოს, საჭიროა მარილ-წყლით გამოივლოთ პირი ამ რიგად.

ერთ ჭიქა წყალში ჩაჰყარეთ ერთი სასადილო კოვზი (სიღაბ) ზღვის მარილი და მოურიეთ, რომ თანაბრად გაიხსნას. ღამე, როცა იძინებდეთ ეს მარილ-წყალი გამოივლეთ პირში.

თუ ვისმე წყალი მეტად მლაშედ ეჩვენება, შეიძლება პირველად ერთის კოვზის მაგიერ ნახევარი კოვზი მარილი ჩაჰყაროს ჭიქაში და შემდეგ თანდათან უმატოს.

მარილ-წყალი პირს კარგად ასუფთავებს, კბილს საღად ინახავს, ღრძილს ამაგრებს, უსიამოვნო გემოს და სუნს უკარგავს. მარილ-წყლით პირის გამოვლება კარგია იმისთვის, ვინც თამბაქოსა სწევს და დილ-დილით პირში სიმწარესა ჰგრძნობს.

—

გაშენება ფესვის მონაჭერით. თითქმის ყველა ხეხილი და საზოგადოდ ხე შეიძლება გაშენდეს ფესვის მონაჭერით. გადარგვის დროს და აგრედვე ბარვაშიაც ხეს ფესვი სწყდება ხოლმე. ეს ფესვი შეიძლება ახაროთ. მოსჭრათ სამის გოჯის ოდენა და ყირაზედ ჩასვათ მიწაში, ისე, რომ ერთი თავი მიწის პირადა ჰქონდეს, და ზემოდგან გოჯნახევარზედ პატივი დააყაროთ. საჭიროა, რომ ხშირად და თანაბრად მოირწყოს, ისე, რომ სისველე არ გამოელიოს.

ამ რიგად ხის გაშენება ადვილია და ხარჯიც თითქმის არა აქვს-რა. დარგულ ფესვებიდგან ნახევარმაც რომ არ იხაროს, დიდი დასაკლისი არ იქმნება, დანარჩენიცა ღირს შრომის ფასად.

პირველ წელს ახლად დარგული ფესვი ცოტად შეიფოთლება, მეორე წელსკი სანამყენოდაც გამოდგება, თუ ისეთის ჯიშის ხეხილია, რომ უთუოდ უნდა იმყნას, თუ არა და თავისთავად გაიზრდება და შემდეგ დიდ ხედ გარდაიქცევა.

### სასამართლოს მატიანე

ორშაბათს, 25 ოქტომბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ სიღნაღში გაარჩია საქმე თავ. გიორგი აბაშიძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა სიღნაღის სომეხთ-გრიგორიანთა სკოლის მასწავლებლის მარტიროზ ტერ-ოჰანეზოვის მოკვლა.

საქმე ასე ყოფილა: ამ წლის 23 მაისს სიღნაღის ახლოს შავერდოვის ბაღში გამართული იყო წვეულება იმის გამო, რომ ამ ვენახის პატრონის შვილი მიღებულ იქმნა სამსახურში სიღნაღის მაზრის მმართველობისმიერ. სტუმართა შორის იყვნენ თავ. აბაშიძე და მასწავლებელი ტერ-ოჰანეზოვი, რომელთაც ერთმანერთი ამ სადილზედ გაიცნეს. თავ. აბაშიძე და მასწავლებელი ტერ-ოჰანეზოვი მალე ძლიერ დამეგობრდნენ, ჰკოცნიდნენ ერთმანერთს და გადასწყვიტეს, ერთმანერთთან ვიაროთ და ჩვენი ცოლებიც გავაცნოთ ერთმანერთსაო. როცა დაღამდა და სტუმრები იშლებოდნენ, თავ. აბაშიძე და ტერ-ოჰანეზოვი ერთმანერთს ელაპარაკებოდნენ. უცბად თავ. აბაშიძემ იძრო ხანჯალი და მუცელში დასცა ტერ-ოჰანეზოვს. ტერ-ოჰანეზოვი დაეცა, და დაიძახა: „ვაიმე, მომკლესო“ და იქვე სული განუტევა. მკვლელს ხალხი მოეხვია და ჰკითხეს, რად მოჰკალიო. თავ. აბაშიძემ უპასუხა: „ერთი სიტყვა მაწყენინაო“.

სასამართლოში თავმჯდომარემ რომ ჰკითხა თავ. აბაშიძეს მიზეზი კაცის კვლისა, მან უპასუხა: „დამნაშავედ არა ვთვლი ჩემს თავს, რადგანაც ძლიერ აღელვებული ვიყავ და არა მახსოვს-რაო. მიწვეულ მოწმეთა შორის სასამართლოში იყო ცოლი მოკლულის ტერ-ოჰანეზოვისა, რომელიც თავის დაზარალების გამო ჩიოდა. ტერ-ოჰანეზოვის ქვრივმა სთქვა, რომ ჯერ-ჯერობით გაჭირვების გამო იმ სკოლაში ვარ მასწავლებლად, რომელშიაც განსვენებული ჩემი ქმარი ასწავლიდაო.

სასამართლოს დარბაზში შესვლა ბილეთებით იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დარბაზი სავსე იყო. იყვნენ უმაღლეს წოდების ქალები და საგანგებოდ ამ საქმის მოსასმენად მოსულნი კახეთის მემამულენი.

საქმის გარჩევის დროს თავმჯდომარეობდა სასამართლოს წევრი ი. ი. პარჩევსკი. ბრალმდებელად პროკურორის თანაშემწე ჯალალოვი. ბრალდებულის მცველად ვექილი

პ. ა. ოპოჩინინი და ქვრივის ტერ-ოჰანეზოვის ვექილად—სპენდიაროვი.

სასამართლომ გადასწყვიტა: თავ. აბაშიძე დამნაშავეა, რადგანაც გულ-მოსულობისა და გაანჩხლების გამო მოჰკლა ტერ-ოჰანეზეოვიო და მიუ-საჯა: ჩამოერთვას დამნაშავეს ყოველ გვარი უფლებანი და უპირატესობანი და გაგზავნილ იქმნას საცხოვრებლად ირკუტსკის გუბერნიაში. გარდა ამისა, დამნაშავის ქონებიდგან მიეცეს ტერ-ოჰანეზოვის ქვრივს ყოველ წელიწადს 180 მანათი, ვიდრე გათხოვდებოდესო.

თავ. აბაშიძე საქმის გარჩევამდე დაპატიმრებული არ იყო, ხოლო ამ განაჩენის გამოცხადების შემდეგ დააპატიმრეს.

# დეპეშა

27 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** დღეს იმპერატორის თანადასწრებით ზღვაში ჩაუშვეს ახალი სამხედრო გემი „ადმირალი უშაკოვი“, რომელიც ბალტიის ქარხანაშია გაკეთებული. სიგრძით 278 ფუტი აქვს, სიგანით—52.

უმაღლესის ბრძანებით ჩაიკოვსკის დასაფლავება დაევალა საიმპერატორო თეატრების დირექციას. გარდაცვალებულის გვამს ხუთშაბათს გამოასვენებენ, ანდერძს ყაზანის ტაძარში აუგებენ და ალექსანდრე-ნეველის ლავრაში დაასაფლავებენ.

**მადრიდი.** დღეს საღამოს ბარცელონის თეატრ Liceo-ში „ვილჰელმ - ტელის“ მეორე მოქმედებას რომ თამაშობდნენ, პარტერში ორი ყუმბარა გადააგდეს: ერთი გასკდა და 9 ქალი და 6 კაცი მოჰკლა; ბევრი დაიჭრა. მეორე ყუმბარამ არ იფეთქა. დააპატიმრეს ორი ცნობილი ანარქისტი.

28 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** გუშინ უკანასკნელ ბჭობის დროს, გზათა მინისტრის თავმჯდომარეობით, გადაწყვეტილია დაარსდეს 8 მმართველობა წყლის გზათა და 14 გზატკეცილებისა; სახელმწიფო საბჭომ უკანასკნელ კრებაზედ მოიწონა პროექტი ნავოსნობისა მდინარე ამურზედ.

მდინარე ლენას ნაპირებზედ მეურნეობის გასაუმჯობესებლად სახელმწიფო ქონებათა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა წელიწადში 50,000 მანათი გადასდეს.

პეტერბურგის ბირჟა, 26 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | შეკრულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,60 | | 7,62 | | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 152 | | 152³/₄ | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | „ | — | „ | 244 | |
| —მეორისა . . . . | 218 | | — | „ | — | „ |
| 4% მესამე სესხისა. . | — | „ | — | „ | — | „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — | „ | — | „ | 193¹/₄ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . | 100 | | — | „ | — | „ |
| 5% . . . . . . | — | „ | 99 | | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 100 | | — | „ | — | „ |
| 5% . . . . . . | — | „ | 99 | | — | „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — | „ | — | „ | 98 | |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვორო სსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასრკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ხ. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა. . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმ მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა ო. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |


## ბამოსადეგი ცნობანი

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ჟ. მ. ჩაქოანი, 9—10¹/₂ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10¹/₂—11¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

ი. ф პროტასევიჩი, 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12¹/₂—1 საათამდის, სნეულებანი დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—7¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## „ჩიკაგო“

წინანდელი სასტუმრო „დანია“ გადავიტანე 1 ოქტომბრიდგან 1893 წ. მოსე არუთინოვის სახლში, კადეტის კორპუსთან, გოლოვინის პროსპექტის ახლო, ქალაქის შუაგულს, სადაც დავაარსე ახალი **მოწყობილი ოთახები** სახელად „**ჩიკაგო**“

ყველა ოთახები მშვენიერად არის მოწყობილი. სამაგალითო სისუფთავეა. მოსამსახურე ზრდილობიანია და სწრაფი. ყველაფერი წესიერია.

### ფასი ოთახებისა

დღიურად 3 აბაზიდგან—3 მანეთამდე, თვიურად და წლობით ბევრით იაფად.

ნ. კოსკანოვი
(25—1018—7)



VÉRITABLE BÉNÉDICTINE
(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტნი)
Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)
საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.
უკეთესი საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდე დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

ისყიდება საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში და ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

„ნევის კაპრიზები“

დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. და ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„**კაპრიზ ნევის**“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—19)

## განცხადებანი

ბალახეულის კარამელი
ხველების წამალი
„ბეცცი ბოსს“
ბ. სემადენისა, კიევში

უმთავრესი საწყობი Александра Венцель, С.-Петербургъ, Гороховая, № 33. ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებში და აფთიაქების მაღაზიებში.

ფასი რკინის კოლოფისა 25 კაპ.
M. (20—10)

ЗУБНЫЯ СРЕДСТВА
ЗУБНАГО ВРАЧА
АДЭЛЬГЕЙМЪ
ЧИСТКА и ГИГІЕНА ЗУБОВЪ
ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ и КОНТОРА БОЛЬШАЯ ДМИТРОВКА СОБ. Д.
МОСКВА, КУЗНЕЦКІЙ МОСТЪ, Д. БР. ДЖАМГАРОВЫХЪ
СКЛАДЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ


Доз. ценз. Тифлисъ, 28-го Октября 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე